

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

# დამხმარე მასალა პედაგოგებისთვის



**ეგვიპტური ხელოვნება**  
**ბაკვეთილი**  
**ხელოვნებასა და ისტორიაში**  
8 - 11 წლის ბავშვებისთვის


ავტორი **პიტერ ლიმინგი, ემა ლუზლი**  
სერიის რედაქტორი **მიხეილ წერეთელი**  
მთარგმნელი **თამარ ჯაფარიძე**  
ქართული ტექსტი დაამუშავეს **დარეჯან ძონენიძემ, ნანა ლილუაშვილმა**  
რედაქტორი **ნინო ნადარაია**  
დიზაინერები **ირაკლი ხუციშვილი, ირაკლი დევდარიანი, ნინო ბაქანიძე**

დამხმარე მასალა შეიქმნა და დაიბეჭდა ექსეტერის  
უნივერსიტეტისა (University of Exeter) და ევროპული  
კვლევების საბჭოს (European Research Council) ხელშეწყობით



## ეგვიპტური ხელოვნება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, მე-4 სართული



## გამოფენის მიმოხილვა

ექსპონატების რაოდენობრივი სიმცირის მიუხედავად, ეს გამოფენა კარგად წარმოგვიდგენს ძველი ეგვიპტური ხელოვნების ხიბლსა და განსაკუთრებულობას. გზამკვლევის დახმარებით შესაძლებელია ექსპოზიციის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დათვალიერება.

გაკვეთილის ფორმატი არ გულისხმობს გამოფენაზე წარმოდგენილი ყველა ნივთის სათითაოდ დათვალიერებას. ინფორმაცია ექსპონატების შესახებ ისეა მოცემული, რომ მასწავლებელმა შეძლოს წინასწარ შერჩეული რამდენიმე ნივთის დახმარებით გაკვეთილის ჩატარება.

ტექსტი მოიცავს კითხვებსა და დისკუსიისთვის განკუთვნილ საკითხებს, რომლებიც დაგეხმარებათ ბავშვებისთვის ამ მასალის საინტერესოდ მიწოდებაში.

## პერიოდიზაცია

გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატები მოიცავს ეგვიპტის ისტორიის სამ პერიოდს:

- ახალი სამეფოს არსებობის პერიოდი: XVIII-XIX დინასტიების მმართველობა (დაახლოებით 1550-1070 წ.წ ანუ ძვ.წ. XVI-XI ს.ს.). ამ დროს ეგვიპტე ერთიანი და დიდი იმპერია იყო, რომლის საზღვრები სირია-პალესტინას წვდებოდა. ეს ცნობილი ფარაონების – რამზეს მეორის (ძვ.წ. 1279-1213), ეხნატონისა (ძვ.წ. 1352-1336) და ახალგაზრდა მეფის - ტუტანჰამონის ზეობის (ძვ.წ. 1336-1327) დროა.
- მესამე შუალედური პერიოდი: XXI-XXIV დინასტიების მმართველობა (დაახლოებით ძვ.წ. 1070-664). ამ დროს ეგვიპტე ერთიანი სახელმწიფო არ იყო; ზემო და ქვემო ეგვიპტეს სხვადასხვა მმართველები ჰყავდა. ეს ორი პერიოდი დაახლოებით შეესაბამება გვიანბრინჯაო – ადრე რკინის ხანას საქართველოში.
- ე.წ. კოპტური პერიოდი: ახ.წ. 395-641 წლები. ესაა პერიოდი ეგვიპტეში რომის ბატონობის დასრულების ხანიდან ისლამურ დაპყრობამდე. მას დღეს ქრისტიანულ-საც უწოდებენ და საქართველოში შეესაბამება ადრეზიზანტიურ, ადრეული შუა საუკუნეების პერიოდს.

## რა ვიციტ ძველი ეგვიპტის შესახებ?

ძველი ეგვიპტე საკმაოდ კარგადაა შესწავლილი და ამიტომ ბევრი რამ ვიციტ ამ ქვეყნის კულტურის შესახებ. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ეგვიპტური სამარხები, სასახლეები, სოფლები და სახელოსნოები. გარდა არქეოლოგიური აღმოჩენებისა, ძველი ეგვიპტის შესახებ ცნობებს იეროგლიფური წარწერებიც გვაძლევს, რომელთა გაშიფრაც მეცნიერებმა შეძლეს.

გადარჩენილ ნივთთა სიმრავლე ეგვიპტის მშრალი კლიმატითაა განპირობებული. ჩვენამდე მოღწეული ქსოვილები და პაპირუსის გრაგნილები ამის საუკეთესო დასტურია. ნესტიანი კლიმატის პირობებში მათ გაუჭირდებოდათ ჩვენამდე მოღწევა. გარდა ამისა, ეგვიპტელებს მიეკუთვნებათ სხეულის უხრწნელად შენახვის საიდუმლოც. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ ძველი ეგვიპტელების შესახებ ბევრად მეტი რამ ვიციტ, ვიდრე მათი თანადროული სხვა პრეისტორიული საზოგადოებების შესახებ.

ძველი ეგვიპტური ცივილიზაცია რომის ბატონობის ანუ რომაულ პერიოდამდე გაგრძელდა. მისი დასაწყისი ჩვენ წელთაღიწვამდე III-IV ათასწლეულებს, ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება. ეგვიპტის ტერიტორიაზე სხვადასხვა სამეფო არსებობდა: ზემო ეგვიპტე - სამხრეთით და ქვემო ეგვიპტე - ჩრდილოეთით. ძვ.წ. III ათასწლეულში ფარაონ ნარმენის დროს ისინი ერთ სამეფოდ გაერთიანდა.

ძველი ეგვიპტელები დამოკიდებულნი იყვნენ მდინარე ნილოსის გარშემო არსებულ ნაყოფიერ მიწებსა და ნილოსის ყოველწლიურ ადიდებაზე, რის წყალობითაც წარმოიქმნებოდა შავი ნიადაგი. ეს ნაყოფიერი შავი მიწები დიდ კონტრასტს ქმნიდა ყვითელი ფერის ქვიშასთან, რითიც ეგვიპტის უმეტესი ნაწილი იყო დაფარული. თავდაპირველად, ეგვიპტელები თავს სწორედ შავი მიწის ხალხს უწოდებდნენ.



ეგვიპტელების ყველაზე სახელგანთქმული ძეგლები – პირამიდები სამეფო ოჯახების აკლდამებია, რომლებიც ძველი და შუა სამეფოების პერიოდებში (ძვ.წ. 2686–1650 წ.წ.) აშენდა. ჩვენთვის ცნობილია დაახლოებით 140 პირამიდა, პერიოდულად ახლაც ხდება ახალი პირამიდების აღმოჩენა.

## გამოფენა

### 1 და 2: ბაბუინების ქანდაკებები – ღმერთი თოთი.

**კითხვა:** ვის განასახიერებდნენ ეს ქანდაკებები?



**პასუხი:** ძველ ეგვიპტეში ღმერთი ნებისმიერი რამ შეიძლება ყოფილიყო. ღმერთებსა და ადამიანებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობდა. ეგვიპტელთა რწმენით, ბუნებრივი და ზებუნებრივი სამყარო ცალცალკე კი არ არსებობდა, არამედ ერთ სამყაროში ერთიანდებოდა. ეს ქანდაკებები გამოფენაზე წარმოდგენილი ყველაზე ძველი ნივთებია. ისინი ძვ.წ. XIII საუკუნითაა დათარიღებული და გამოსახავს ბაბუინებს ბუნებრივ მდგომარეობაში.

გადმოცემის მიხედვით, მჯდომარე ბაბუინები განთიადს ელოდებიან. ისინი გამოთლილია ბაზალტის ქვისგან, რომელიც დასამუშავებლად ძალიან მყარი და, შესაბამისად, რთული მასალაა, მაგრამ, სამაგიეროდ, ადვილად არ ზიანდება.

თოთი (ჯეჰუთი) სიბრძნის, წერისა და ცოდნის ღმერთია. ის შეიძლება წარმოდგენილი იყოს ღვთაება იბისის (*Threskiornis aethiopicus*) ან ბაბუინის (*Papio cynocephalus*), როგორც ჩვენს გამოფენაზეა, სახით. ეს თოთის გამოსახვის უფრო ძველ ფორმად ითვლება. კიდევ უფრო ადრე ბაბუინს თაყვანს სცემდნენ როგორც განსხვავებულ ღვთაება ჰეჰ-ვერს, ანუ დიდ თეთრ ღმერთს.

თოთს უკავშირებდნენ მთვარესაც და მიიჩნევდნენ მინისქვეშეთში მიცვალებულების მფარველად. ის ღმერთების მაცნე გახდა პტოლემოსთა გვიანდელ პერიოდში (ძვ.წ. 332-30 წ.წ.).

ეგვიპტური ღვთაებები ხშირად იცვლიდნენ იერსა და ფუნქციებსაც. ეს ძირითადად დაკავშირებული იყო დიდი ქალაქების, მაგალითად, მემფისისა და თებეს, მცდელობასთან, თავიანთი ძალაუფლება გაეგრძელებინათ ეგვიპტის მთელ ტერიტორიაზე. წარმატების შემთხვევაში მათი ადგილობრივი ღვთაებები ეგვიპტის უზენაეს ღმერთებად ცხადდებოდნენ, აგრეთვე ხდებოდა მათი შერწყმა ადგილობრივ სხვა ღმერთებთან.

ამ გაკვეთილის შემდეგი ნაწილი ეთმობა ახალი სამეფოს და მესამე – შუალედურ პერიოდში გავრცელებული ღვთაებების მიმოხილვას.

### 3: სარკოფაგი

**კითხვა:** რა ინფორმაციას გვანვდის სარკოფაგზე კარგად დაკვირვება?

**პასუხი:** ეს ხელმეორედ გამოყენებული შიდა სარკოფაგია. კარგად დააკვირდით შუბლსა და მარჯვენა მხარს, სადაც ზედაპირის ნაწილი დაზიანებულია და ჩანს მოხატულობის ქვედა ფენა.

სარკოფაგი ხელმეორედ გამოიყენეს ძვ.წ. VII ს-ში (მესამე - შუა პერიოდში), თუმცა, თავდაპირველად, ის ძვ.წ. XI ს-ში შეიქმნა (ახალი სამეფოს პერიოდი).

სარკოფაგი შექმნილია ადამიანის მუმიფიცირებული ნეშტის შესანახად. ბალზამირების შემდეგ მუშია შიდა სარკოფაგში თავსდება. ამგვარი სარკოფაგი საგამოფენო დარბაზშია წარმოდგენილი, იგი ადამიანის ფორმის მიხედვითაა შექმნილი, თუმცა მასზე დახატული სახე პორტრეტი არაა. სარკოფაგებს ძალიან ლამაზად აფორმებდნენ. ისინი შეიძლება მოხატული ან მოოქრული იყოს. მზადდებოდა ტილოს, ფისის, კირისა და ხის მასალისგან. შიდა სარკოფაგს გარე სარკოფაგში ათავსებდნენ, რომელიც ხისგან ან ქვისგან მზადდებოდა.

სარკოფაგის მოხატულობა გვამცნობს, თუ ვინ იყო ჩასვენებული მასში.

იგი ემსახურებოდა **მუტს, თებეს ქალღმერთების დედოფალს**, რომელიც დედა ღვთაება გახდა ახალი სამეფოს პერიოდში. მას სვავის ფორმით გამოსახავდნენ. ის ჩვენი სარკოფაგის წინა ნაწილზე, თავის ქვემოთ, ჩანს.

სარკოფაგის დეკორაციები სხვადასხვა ღმერთსა და ქალღმერთს გამოსახავს. მწოლიარე ფიგურა გარდაცვლილს განასახიერებს, ხოლო მის ზემოთ მფრინავი ჩიტი – მის სულს.



#### 4: მუმია – თახარუსი, ქალღმერთი მუტის ქურუმი

**კითხვა:** როგორ მოხდა ამ პიროვნების მუმფიცირება?

**პასუხი:** ეს არის ახალგაზრდა ქალის მუმფიცირებული სხეული. ის ქურუმი იყო. ამიტომ მისი მუმია და სარკოფაგი არ არის ისე ძვირფასი და გულმოდგინედ დამუშავებული, როგორც ფარაონებისა. მისი მუმფიცაციის დროს მუმფიცირების ტექნიკა ძალიან მაღალ დონეზე იყო აყვანილი ძველ ეგვიპტეში. მუმფიცირების პროცესი სხეულის გამოშრობას ნიშნავდა, მაგრამ ადამიანის ძვლები არ პატარავდებოდა. ამდენად, ქურუმი ქალი დღეს თითქმის ისეთივე სიმაღლის არის, როგორც სიცოცხლის დროს. მუმფიცირების მიხედვით შეგვიძლია განვსაზღვროთ ძველი ეგვიპტელების სიმაღლე. ისინი საკმაოდ დაბლები იყვნენ. მათგან ყველაზე მაღალი 1.68 მეტრი სიმაღლის თუ იქნებოდა.

მუმფიცირების შესახებ შემორჩენილ მრავალ წერილობით აღწერილობასა და კვლევებზე დაყრდნობით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მუმფიცაციის ის პროცესი, რომელიც თახარუსის სხეულმა გაიარა. მის სხეულს ამოაცალეს შინაგანი ორგანოები. განსაკუთრებულად უსიამოვნო ტვინის გამოღების პროცესია: გრძელი კაუჭის დახმარებით ცხვირიდან იღებდნენ ტვინს და მერე გადააგდებდნენ. სხეულის დანარჩენ ორგანოებს – კუჭს, წვრილსა და მსხვილ ნაწლავებს, ღვიძლსა და ნაღვლის ბუშტს, ფილტვებსა და გულს – სპეციალური წესით ინახავდნენ, ხოლო ცარიელ ღრუს მცენარეებითა და ფისით ავსებდნენ.

უფრო ადრეულ პერიოდში ამ ორგანოებს განსაკუთრებულად მოხატულ ოთხ ქილაში (კანოპის ქილები) ათავსებდნენ. იმ დროისათვის გავრცელებული მეთოდის მიხედვით, თახარუსის ორგანოები მუცლის ღრუში უნდა ჩაებრუნებინათ ან სხეულის გარშემო შემოეხვიათ. სხეული 70 დღის განმავლობაში ნატრიუმის ხსნარში უნდა შენახულიყო. შემდეგ მასში სხვადასხვა ნივთიერება შეჰყავდათ მწერებისა და ხრწნის საწინააღმდეგოდ, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა სხეულის მორთვა – თმას ვარცხნიდნენ, სხეულს ფისით გაჟღენთილი ქსოვილით ფარავდნენ, რაც კანის ფერს ამუქებდა, საბოლოოდ კი მას ტილოს სახვევებში ახვევდნენ.

მუმფიცირების რიტუალი ტარდებოდა იმიტომ, რომ, ეგვიპტელების რწმენით, სული უკვდავი იყო. ის ცხოველის სხეულში სახლდებოდა და სხვა ცხოველების გავლით წელ-წელა აღწევდა ადამიანის სხეულს, რასაც დაახლოებით 3000 წელი სჭირდებოდა. ამ ხანგრძლივი დროის შესამცირებლად ეგვიპტელები სხეულს ინახავდნენ, რათა სულს შეიძლებოდა მასში დაბრუნება აღდგომის დღეს. მუმფიცაცია მოითხოვდა ძალზე დიდ ოსტატობას და საკმაოდ საპასუხისმგებლო რიტუალი იყო.

გარდაცვლილებს დაუყოვნებლივ არ მარხავდნენ. ბალზამირების შემდეგ მათ ოჯახი ინახავდა და საკვებსაც კი მიართმევდნენ. მუმფიცირება სესხის უზრუნველსაყოფად კი იყო შესაძლებელი.

მუმფიცირების პრაქტიკა ქრისტიანულ დრომდე გაგრძელდა (ახ.წ. IV ს.)

### 5: მცირე პლასტიკა – პატარა ქანდაკებები და ავგაროზები. გვიანი ახალი სამეფო

ვიტრინებში გამოფენილია ხელოვნების მცირე ზომის ნიმუშები და სამკაულები, რომლებიც ახალ სამეფოსა და მესამე, შუალედურ პერიოდებს მიეკუთვნება. აქ წარმოდგენილია სხვადასხვანაირი ცხოველი, რომლებიც, შესაძლოა, განასახიერებდნენ თავად ცხოველს, ღმერთს, ქალღმერთს, ცხოვრების წესს ან, შესაძლოა, ყველაფერს ერთად. სავარაუდოდ, ისინი ითვლებოდა ავგაროზებად – მაგიურ თილისმებად, რომლებიც პატრონს მფარველობდნენ ან მას რაიმე განსაკუთრებულ უნარს, მაგალითად, სიბრძნეს, შესძენდნენ. ავგაროზების გარკვეული სახეობები მხოლოდ მუმიებისთვის იქმნებოდა. ისინი მზადდებოდა ძვირფასი მასალისგან – ხისგან, (რომელიც ეგვიპტეში იშვიათი იყო და, სავარაუდოდ, სხვა ქვეყნებიდან შემოჰქონდათ), ასევე ბრინჯაოსგან ან ქაშანურისგან.

**კითხვა:** რა არის ქაშანური?

**პასუხი:** ქაშანური არის კერამიკა, (თიხა, ფაიფური და ა.შ.), რომლის საბოლოო ფერს განსაზღვრავს დამუშავებისას გამოყენებული მინერალები (მაგალითად ლაპის ლაზური).

#### პირველი რიგი – მარჯვნიდან მარცხნივ



**სკარაბის ავგაროზი** – (ქაშანური, ყელსაკიდი). ძველ ეგვიპტეში ნაპოვნი ორი ყველაზე გავრცელებული ნივთიდან ერთ-ერთი სკარაბია (*Scarabeus sacer*), რაც ფუნაგორია ხოჭოს ფორმის ავგაროზი ან ბეჭედი. გვხვდება სხვადასხვა ზომისა და ფორმის სკარაბები. სწამდათ, რომ უფრო დიდი ზომის სკარაბებს გარდაცვლილის განსაკუთრებული მფარველობის უნარი გააჩნდათ და მათ მუმიას გულზე ადებდნენ. მცირე ზომის ავგაროზებს, მაგალითად, ჩვენს მუზეუმში წარმოდგენილებს, გულზე ჩამოსაკიდებლად ხვრეტდნენ, განსხვავებით დიდი ზომის ავგაროზებისგან.

**კატა – ბასტეტი**, ქალური მშვენიერების, ნაყოფიერების, სიყვარულის, მხიარულების ქალღმერთი. ამზადდებდნენ ბრინჯაოს ან ხისაგან და ხშირად გამოსახავდნენ კატის ან კატისთავიანი ქალის სახით. ის ღმერთ **რას** ქალიშვილად და ფარაონის მფარველად ითვლებოდა.





**სიტულა** - ბრინჯაოს მცირე ზომის ჭურჭელი სახელურით. იგი წმინდა სითხის (მაგალითად, ნილოსის წყლის) გადასატანად გამოიყენებოდა და ისიდას თაყვანისცემას უკავშირდებოდა (ისიდას ხშირად გამოსახავდნენ ასეთი ჭურჭლით ხელში), თუმცა მე-19 დინასტიიდან სიტულას სხვა ღმერთებსა და ქალღმერთებსაც უკავშირებდნენ.

### შუა რიგი - მარჯვნიდან მარცხნივ



**ანუბისი** - გარდაცვლილების ბალზამირების, დასაფლავებისა და სამგლოვიარო ცერემონიების ღმერთი. მზადდებოდა ბრინჯაოს ან ხისაგან. ის **ოსირისისა** და **ნეფტიდას** ვაჟია. ანუბისი ძალღმერთი ან ტურისთავიანი ღმერთია და ის ერთ-ერთი ადვილად ამოსაცნობია ეგვიპტელი ღმერთების გამოსახულებათა შორის.



**თოთი** - წერისა და სიბრძნის ღმერთი. მზადდებოდა ბრინჯაოს ან ხისაგან. თოთი აქ უკვე არა ბაბუინის (როგორც წინა შემთხვევაში), არამედ ცხოველისთავიანი ადამიანის სახით - ღვთაება იბისის თავითაა წარმოდგენილი.

### უკანა რიგი - მარჯვნიდან მარცხნივ



**ოსირისი** - ქვესკნელისა და სიკვდილის შემდგომი სიცოცხლის ღმერთი (**ისიდას** ძმა და ქმარი; **სეთის** ძმა (სეთი ოსირისის მტერი და მკვლელია); **ჰორუსისა** და **ანუბისის** მამა). მზადდებოდა ბრინჯაოს ან ხისაგან. ოსირისი ნაყოფიერების, სიკვდილისა და აღდგომის ღმერთი იყო. ლეგენდის თანახმად, ოსირისი მოკლეს და დაანაწევრეს. მისმა ცოლმა ისიდამ კი შეაკონინა და ასე წარმოიქმნა პირველი მუმია. ამდენად, მუმოფიკაციის პროცესი მის კულტთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ახალი სამეფოს არსებობის პერიოდიდან ყველა მუმია ოსირისს ეძღვნებოდა. ის გამოისახებოდა მუმის სახით, რომელსაც გამორჩეული თეთრი, ფრთიანი გვირგვინი ადგას და ხელში სამეფო კვერთხი და მათრახი უჭირავს.

**ამონ-რა** - მზის ღმერთია. მზადდებოდა ბრინჯაოს ან ხისაგან. როდესაც ეს ღმერთი ამონ-რას სახით გამოისახება, ის ორ ღვთაებას აერთიანებს. ამ სახით იგი ეგვიპტელი ღმერთების მეფედ გამოაცხადეს. ის გამოისახება როგორც ადამიანი თავზე მზის დისკოთი. იგი ვერძის სახითაც გამოისახებოდა. გამოფენაზე წარმოდგენილ ქანდაკებას დაკარგული აქვს საგნები, რომლებიც მას თავდაპირველად ეჭირა.



**ფთაჰი** - შემოქმედი ღმერთი. მზადდებოდა ბრინჯაოს ან ხისაგან. ის წარმოჩენილია როგორც მუმია, რომელსაც თავზე მუზარადი ახურავს და რამდენიმე წმინდა სიმბოლოს გამაერთიანებელი კვერთხი უჭირავს.

## 6: სამაჯურები და მცირე პლასტიკა

ვიტრინებში წარმოდგენილია დეკორატიული სამკაულები – ბრინჯაოს ბეჭედი და სამაჯური. ოქროსაგან დამზადებული სამკაულები მხოლოდ მდიდრებისათვის იყო განკუთვნილი. მაგალითად, ფარაონის ოჯახისათვის. უფრო ღარიბი ხალხი კი ბრინჯაოსა და ქაშანურისგან დამზადებულ სამკაულებს იყენებდა.

ექსპონატების დანარჩენი ნაწილი მცირე ზომის ფიგურები და ავგაროზებია.

### წინა რიგი – მარჯვნიდან მარცხნივ

**იხნევმონი** – დიდი მანგუსტას სახეობაა, ზომით შინაურ კატაზე დიდია. ის ერთ-ერთი წმინდა ცხოველია. მზადდებოდა ბრინჯაოს ან ხისაგან.

**უშაბტი** – ქაშანური, პატარა ქანდაკებებია, რომლებსაც დასაფლავების რიტუალებში იყენებდნენ და საფლავში ატანდნენ მიცვალებულს. ისინი მსახურებია, რომლებიც, ეგვიპტელების რწმენით, პატრონს მომავალ ცხოვრებაშიც მოემსახურებიან. მათი გამოყენება ძველ სამეფოში დაიწყო და შუა სამეფოს არსებობის პერიოდიდან დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ისინი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფორმით გამოისახებოდა, მაგალითად, გვიან პერიოდში მათ მუმიფიცირებული ადამიანის ფორმა აქვთ, ხოლო ადრინდელი ნიმუშები უფრო რეალისტური იყო და სხვადასხვა სამუშაოს შესრულებისას გამოისახებოდნენ. გვიან პერიოდში ისინი მზადდებოდა ხისგან, ქვისგან ან ქაშანურისგან. მომავალ ცხოვრებაში მათ უნდა შეესრულებინათ არაერთი სასოფლო-სამეურნეო სამუშაო, კერძოდ, ხვნა, მორწყვა (სიკვდილის შემდეგ იმქვეყნიური ცხოვრება ძველ ეგვიპტელებს ზუსტად ისევე წარმოედგინათ, როგორც ამქვეყნიური ცხოვრება). ამგვარ მსახურებს ძალიან ბევრს ამზადებდნენ. ამიტომ ისინი ე.წ. სკარაბებთან ერთად ყველაზე დიდი რაოდენობით შემორჩენილი ძველი ეგვიპტური ნივთია.

**სოხმეტი** – ქაშანურის გულსაკიდი, ცეცხლისა და შურისძიების ქალღმერთი, ფთაჰის ცოლი. (ალტერნატიულად ასევე **ჰატჰორი** - სიყვარულის ქალღმერთი და ფარაონის მცველი ღმერთი).

**ტაურტი** – ქაშანურის გულსაკიდი, მელოგინეთა მფარველი ქალღმერთი. ტაურტი უფრო ოჯახის ღვთაება იყო, ვიდრე საკულტო.

**ვერძი** – (ქაშანურის გულსაკიდი) მისი გამოსახულება სამეფო სტატუსის აღმნიშვნელი იეროგლიფი იყო. ვერძი ყველაფრის წარმოშობის მიზეზად ითვლებოდა და ღმერთ ამონსაც განასახიერებდა.

**შუ** – (ქაშანურის გულსაკიდი) ქარის, ჰაერისა და მზის შუქის ღმერთი. (**ტეფნუტის** მეუღლე, **გებისა** და **ნუტის** მამა, **ანუბისისა** და **ჰორუსის** დიდი ბაბუა). ჩვეულებრივ გამოსახება ფრთის ფორმის თავსაბურავით.

## შუა რიგი – მარჯვნიდან მარცხნივ

**სამაჯური** – ბრინჯაოს უბრალო მარყუჟი.

**ბეჭედი** – ქაშანურისგან დამზადებული, შესაძლო იეროგლიფური წარწერით.

**ისიდას, ჰორუსისა და ნეფტიდას** გამოსახულებიანი ავგაროზი – ბრინჯაოსა და ხის გულსაკიდი.

ისიდა ქალღმერთია (ის ოსირისის ცოლი და ჰორუსის დედაა). ის არის გარდაცვლილთა მფარველი და ფარაონის სიმბოლური დედა. იგი ასევე ბავშვების მფარველია. ისიდამ ოსირისის ნეშტი თავიდან ააწყო, რითიც პირველი მუმია შექმნა. ისიდა ასევე ცნობილია როგორც ბავშვების მფარველი.

ჰორუსი ომის, ცისა და შევარდნების ღმერთია (ანუბისის ძმა, ოსირისისა და ისიდას ვაჟი). ითვლებოდა, რომ ფარაონი ჰორუსის ადამიანური გამოვლენა იყო. ჰორუსი წარმოდგენილია არწივისთავიანი ადამიანის ფიგურის სახით.

ნეფტიდა გლოვის ქალღმერთია. ის ისიდას და, სეთის მეუღლე და ანუბისის დედაა. ის გარდაცვლილების მფარველია და სარკოფაგზე ძირითადად მუმის თავისკენ არის გამოსახული.

## უკანა რიგი – მარჯვნიდან მარცხნივ

**ხონსუ** – (ბრინჯაო და ხე) მთვარის ღმერთია. მზადდებოდა ბრინჯაოს ან ხისაგან. თუმცა ეს ფიგურა არა ხონსუ, არამედ ჰორუსია. აქ ის გამოსახულია მჯდომარე ბავშვის სახით, მარჯვენა მხარეს გადავარცხნილი თმებით. მისი მარჯვენა ხელი პირისკენ მიგვითითებს. ეს ჟესტი, შესაძლოა, აღნიშნავდეს ჰორუსის შიმშილს (რომ ისიდამ გამოკვებოს), ან საიდუმლოს შენახვას, ან მის მნიშვნელობას მუმის პირის გაღების ცერემონიაში, თუმცა დაზუსტებით არ ვიცით, რომელი შეესაბამება ამ სამი ვარიანტიდან სიმართლეს.

**იმჰოტეპი** – უნივერსალური ადამიანი, რომელიც ღმერთად მიიჩნეეს (ძვ.წ. 2650–2600). ის იყო ფარაონ ჯოსერის კანცლერი, ამავედროულად, ქურუმი და არქიტექტორი. მას თავყვანს სცემდნენ როგორც ბრძენკაცსა და მკურნალს. ორი ათასი წლის შემდეგ ის ღმერთი გახდა, რაც ჩვეულებრივი ადამიანისათვის, არა ფარაონისათვის, იშვიათობა იყო. იმჰოტეპი წარმოდგენილია მამაკაცის ფიგურის სახით, რომელსაც ფეხებზე გრაგნილი აქვს გაშლილი. ის გახდა მედიცინის, სიბრძნისა და წერის ღმერთი. მზადდებოდა ბრინჯაოს ან ხისაგან.

**ნეტი** – ომისა და ნადირობის ქალღმერთი, ქალაქ **საისის** მფარველი ღვთაება. მას თავზე ახურავს ქვემო ეგვიპტისათვის დამახასიათებელი წითელი გვირგვინი. ეგვიპტეში მიაჩნდათ, რომ მან გამოიგონა ფეიქრობა, რის გამოც მას აკავშირებდნენ მუმების სახვევებთან. ამ პატარა ქანდაკებას დაკარგული აქვს ზოგი ნივთი, რომელიც მას ხელში ეჭირა. იგი მზადდებოდა ბრინჯაოს ან ხისაგან.

**კითხვა:** თქვენი აზრით, როგორ იყენებდნენ ამ ავგაროზებს?

**პასუხი:** უმრავლესობა გამოიყენებოდა დაკრძალვის ცერემონიების დროს, თუმცა ზოგიერთი, შესაძლოა, ოჯახის საკულტო ღვთაებაც ყოფილიყო.



## 7: ყელსაბამი და ავგაროზები

### ნინა რიგი

**ყელსაბამი** - ქაშანურისა და სხვა მასალებისგანაა დამზადებული. ამიტომ ის, სავარაუდოდ, უფრო ღარიბ ადამიანს ეკუთვნოდა. ეს ყელსაბამი ცხრა ავგაროზისაგანაა შემდგარი.



**შუა რიგი** - მარჯვნიდან მარცხნივ

**უშაბტი** - (ქაშანური) იხილეთ ზემოთ.

**სკარაბი** - (ქვა) იხილეთ ზემოთ. ესაა დიდი და გაუხვრეტელი ქვის სკარაბი, რომელსაც მუმის ჩააყოლებდნენ.

**ნაყოფიერების ავგაროზი** - ჯუჯის ამსახველი ქაშანურის პატარა ქანდაკება, სავარაუდოდ, ღმერთი **ბესი** უნდა იყოს. ის იყო ოჯახის დედებისა და მშობიარობის დროს ახალდაბადებულთა მფარველი. შემდგომში ის ყოველივე კარგის მფარველი და ყოველივე ცუდის მტერი გახდა.

**უშაბტი** - იხილეთ ზემოთ.

**ბოცვრის ავგაროზი** – ქაშანურის ყელსაბამის სახით. ბოცვრის ყურების ფორმა გვაფიქრებინებს, რომ ეს ფიგურა კურდღელია. შესაძლებელია, რომ იგი განასახიერებდეს ღმერთ **უნეტს**, რომელიც თოთის შიკრიკია. შესაძლოა, იგი ნაყოფიერების ავგაროზიც იყოს.



**კობრა** – ქაშანურის ყელსაბამი. ეს **ურეუსის** სახეა, გამოხატავს სამეფო კობრას, რომელიც გვხვდება გვირგვინზე როგორც სამეფო ძალაუფლების სიმბოლო. წამომდგარი კობრა, შესაძლოა, გამოსახავდეს ქალღმერთ **უადიტსაც**.

**ჯედი** – ითვლებოდა, რომ ეს ქაშანურის ავგაროზი სიმტკიცესა და საყრდენ ძალას გამოხატავდა. მას ასევე იცნობენ როგორც ჯედის სვეტს და უკავშირებენ **ოსირისს**. ჯედის სახელი ძველი ეგვიპტური საკულტო ცენტრის სახელწოდება, **ჯედუდან** (მოგვ. **ბუსირისი**), მომდინარეობს.

### უკანა რიგი – მარჯვნიდან მარცხნივ

**ისიდასა და ჰორუსის ქანდაკება-ავგაროზი** – ისიდას კალთაში უზის ახალგაზრდა ჰორუსი, რომელიც პატარა ბავშვის სახითაა წარმოდგენილი. მას ბრინჯაოს ან ხისაგან ამზადებდნენ.

**ჰორუსი** – იხილეთ ზემოთ. ის წარმოდგენლია ორმაგი გვირგვინით შემკული ბრინჯაოს შევარდნის სახით.

**სეხმეტის** პატარა ქანდაკება – იხილეთ ზემოთ. გამოსახულია თავზე მზის დისკოთი. მას ბრინჯაოს ან ხისაგან ამზადებდნენ.

## 8: რომაული/კოპტური პერიოდის ქსოვილები

**კითხვები დისკუსიისთვის:** სხვა ქვეყნებთან შედარებით, რით აიხსნება ეგვიპტეში შემორჩენილი ქსოვილების ასეთი დიდი რაოდენობა? რა საერთო აქვთ მუმიებს ქსოვილებთან?

**პასუხი:** ეგვიპტე ძირითადად უდაბნოა, (გარდა მდინარე ნილოსის დელტის გარშემო არსებული მიწებისა). დაბალი ტენიანობის (მშრალის ჰავის) გამო აქ მრავალი ისეთი ნივთი შემორჩა, რომელსაც სხვა ქვეყნებში ატმოსფეროში არსებული წყალი ანადგურებდა. ჩვენამდე მოაღწია არა მხოლოდ ეგვიპტურმა ქსოვილებმა, არამედ ორგანული ანუ ოდესღაც ცოცხალი მასალისაგან დამზადებულმა ნივთებმაც.

ეს ორგანული მასალაა - ხე, პაპირუსი, ქსოვილები და მუმიებიც კი, ადამიანური, ცხოველური და მცენარეული ნარჩენი მშრალი ატმოსფეროს წყალობით გადარჩა. სწორედ ამიტომ გვაქვს იმაზე ბევრად მეტი ინფორმაცია ეგვიპტურ კულტურაზე, ვიდრე იმ დროის სხვა ცივილიზაციების კულტურებზე.

ე.წ. კოპტურ ქსოვილებს (თუმცა ბევრი მათგანი რომაულ პერიოდსაც განეკუთვნება) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ. მათ დიდი რაოდენობით მოაღწიეს ჩვენამდე. მით უმეტეს, რომ ასეთი ძველი ქსოვილები მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ძალზე იშვიათია. იმის გამო, რომ ისინი არ განიცდიდნენ მზის სხივების პირდაპირ ზემოქმედებას, მათი ფერებიც საკმაოდ კარგადაა შემონახული.

**კითხვა:** როგორ მიიღებოდა ქსოვილის ფერები? დააკვირდით ვიტრინაში მოთავსებულ კვადრატულ ქსოვილს, რომელსაც მასზე გამოსახული კენტავრის გამო კენტავრს უწოდებენ. რომელ ფერებს ხედავთ? თქვენი აზრით, როგორ მოახერხეს ასეთი ფერების შექმნა?

**პასუხი:** თუ შემთხვევით პომიდვრის წვენი მოგიხვდათ ტანსაცმელზე, გეცოდინებათ, რომ ის ლაქად დააჩნდება მას. ბრონეულის ჭამის შემდგომ თითები რამდენიმე დღის განმავლობაში წარინჯისფერი გექნებათ. ეგვიპტელებმაც იცოდნენ მცენარეებისა და ბოსტნეულისაგან ფერის მიღება და ამ ცოდნას იყენებდნენ ბუნებრივი საღებავებით ქსოვილების შესაღებვად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სინათლესთან კონტაქტის დროს ქსოვილი ფერს იცვლის და ხუნდება, მაგრამ თუ ის დაცულია სინათლის ზემოქმედებისგან, ჩვენ შევძლებთ დავინახოთ, მრავალფეროვან ფერთა გამის მქონე ქსოვილი, რომელიც სხვადასხვა ბუნებრივი საღებავის გამოყენებით მიიღწევა.

ვიტრინაში, წინა რიგში წარმოდგენილია ქსოვილი, რომელზეც ცხოველების მწკრივია გამოსახული. შუა რიგში, მარჯვნიდან მარცხნივ, წარმოდგენილია მცენარეული მოტივები, შუაში კი, მრგვალ ჩანართში, ცხენზე ამხედრებული ფიგურაა გამოსახული, რომელსაც წმინდა გიორგის ეძახიან. ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, გვაქვს თუ არა საქმე ქრისტიანულ სცენასთან. სჯობს, მას, უბრალოდ, ცხენზე ამხედრებული კაცი ვუწოდოთ.

შემდეგი ქსოვილი ვაზისა და ცხოველების მოტივებითაა. და ბოლოს, უკანა რიგში წარმოდგენილია ქსოვილი კენტავრის გამოსახულებით, რომელიც ზემოთ ვახსენეთ.





დამხმარე მასალა შეიქმნა და დაიბეჭდა ექსეტერის უნივერსიტეტისა  
(University of Exeter) და ევროპული კვლევების საბჭოს  
(European Research Council) ხელშეწყობით



[www.museum.ge](http://www.museum.ge)  
[facebook/GNMuseum](https://facebook/GNMuseum)